სსიპ ჟიული შარტავას სახელობის ქ.სენაკის N-2 საჯარო სკოლის

III-ა კლასის მშობელთა კრების

ოქმი N 1

19.09. 2025 წელი

კრება დაიწყო:14სთ.

კრება დამთავრდა: 15სთ.

კრებას ესწრებოდნენ:

კლასის დამრიგებელი -მეგი გრიგოლია

მშობლები: 24

კლასის დამრიგებელმა მშობლებს მოახსენა, რომ დაცულია კრების მოწვევის წესები. სათანადო წესით მოხდა მის მიერ მათი გაფრთხილება და შეტყობინების გაგზავნა კრების ჩატარებისა და დღის წესრიგის გაცნობის შესახებ.

მეგი გრიგოლიამ დამსწრე საზოგადოებას ასევე აუწყა, რომ ვიდრე დღის წესრიგს გაეცნობიან, საჭიროა კრების თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა. მან თხოვნით მიმართა მშობლებს, დაესახელებინათ კანდიდატურები.

აზრი გამოთქვეს: მშობლებმა დაასახელეს კანდიდატურები: თეონა ლაკია და თეონა შენგელია,.

კლასის დამრიგებელმა საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე --22

წინააღმდეგი--0

თავი შეიკავა: - 0

დაადგინეს: კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნას თეონა ლაკია და მდივნად კი - თეონა შენგელია.

კრების თავმჯდომარემ მშობლებს გააცნო დღის წესრიგი და მიმართა, ხომ არ სურდათ რაიმე საკითხის დამატება.

დღის წესრიგი:

1. ხელშეკრულების გაფორმება სკოლასა და მშობელს შორის;
2. სადამრიგებლო პროგრამის გაცნობა;
3. სახელმძღვანელოების გადაცემა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
4. მშობელთა კომიტეტის არჩევა

კრების თავჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მოხრე - 22

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

საკითხი 1.ხელშეკრულების დადება სკოლასა და მშობელს შორის

მოისმინეს: დამრიგებელმა აღნიშნა, რომ წინამდებარე ხელშეკრულების (ხელშეკრულებები საკითხის განხილვამდე გადაეცათ მშობლებს) შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია სკოლის შინაგანაწესი. 2025-2026 სასწავლო წლიდან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურეობის გაწევა ამ ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად მოხდება. თ.ლაკიამ შემდეგ ისაუბრა იმ ორმხრივი ვალდებულების შესახებ, რაც სკოლას აკისრია სწავლა-სწავლების პროცესში და მეორე მხრივ, მშობლის უფლება - მოვალეობების შესახებ სკოლის წინაშე.მან ასევე გააცნო მათ ხელშეკრულების პირობები. შემდეგ კი მიმართა, კარგად გადაიკითხონ დოკუმენტი და მოემზადონ ხელშეკრულების დასადებად.

აზრი გამოთქვეს:მ. თ.ჯიქიძემ, თ.კანკავამ, თ.ჩემია. მათ აღნიშნეს, რომ თანახმა არიან სკოლასა და მშობელს შორის არსებული ურთიერთობები დარეგულირდეს წინამდებარე ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობითა და სკოლის შინაგანაწესით.

კრების თავჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე --22

წინააღმდეგი--0

დაადგინეს: რჩევა მიეცეთ მე-3 -ა კლასის მოსწავლეთა მშობლებს:

- დადონ ხელშეკრულება სსიპ ქიული შარტავას სახელობის ქ.სენაკის N-საჯარო სკოლასთან, ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 9 მუხლის 6.1 პუნქტის შესაბამისად;
- მხარეებმა კეთილსინდისიერად დაიცვან წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და პატივი სცენ ერთმანეთის უფლებებს;
- ხელშეკრულების დადება და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი ხელისმოწერით დაადასტურონ.

საკითხი 2. სადამრიგებლო პროგრამის გაცნობა

მოისმინეს: კლასის დამრიგებელმა ისაუბრა დამრიგებლის უფლება - მოვალეობასა და ვალდებულებებზე. მან მშობლებს გააცნო თავისი მუშაობის პრინციპი, აღნიშნა სადამრიგებლო პროგრამის აქტივობების მნიშვნელობა და მოსწავლეებისა და მშობლების როლი ამ აქტივობების განხორციელებაში, რაც დიდად შეუწყობს ხელს შემდგომში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონის ამაღლებასა და სწავლის მოტივაციის გაზრდას.დამრიგებელმა აქვე წარუდგინა მშობლებს

მე-3-ა კლასში სასწავლო - აღმზრდელობითი კუთხით ჩასატარებელი ღონისძიებები და მიმართა თხოვნით, მიეწოდებინათ მისთვის წინადადებები კლასის საათის თემატიკისა და ღონისძიებების შესახებ, რასაც გაითვალისწინებს მუშაობის პროცესში.

დამრიგებელი შემდეგ შეეხო განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმას, რომელიც მიზნად ისახავს სწავლა - სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და სკოლაში კარგი პიროვნებისა და მოქალაქის აღზრდისთვის ხელსაყრელი პირობების ჩამოყალიბებას. რეფორმის წარმატებით განსახორციელებლად კი მნიშვნელოვანია სკოლა წარმოადგენდეს ერთიან გუნდს (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები), რომელსაც აქვს მაღალი პასუხისმგებლობა და შემოქმედებითი თავისუფლება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში მშობელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად სასკოლო კურიკულუმის იდეა გამოიყენება. წელს გაგრძელდება მუშაობა კომპლექსურ დავალებებზე. ამიტომ სასწავლო წლის დაწყებამდე მშობლებს გადაეგზავნებათ სასკოლო კურიკულუმიდან იმ კომპლექსური დავალებების ჩამონათვალი, რომლებზეც მათ შვილებს წლის განმავლობაში მოუწევთ მუშაობა.

აზრიგამოთქვეს: თ.ლაკიამ, თ.ხაზარაზემ. მშობლებმა მოიწონეს მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო პროგრამა.ისინი მზად არიან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ დამრიგებლის მიერ დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებში. მშობლები ასევე გაეცნობიან კომპლექსური დავალებების ჩამონათვალს და საკუთარ მოსაზრებასაც მოახსენებენ დამრიგებელს.

კრების თავჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე--24

წინააღმდეგი--0

თავი შეიკავა: - 0

დაადგინეს: რჩევა მიეცეთ მე - 3-ა კლასის მოსწავლეთა მშობლებს:

- ცნობად იქნეს მიღებული, რომ მშობლების მხრიდან დიდი ყურადღება დაეთმობა სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარებას;
- კომპლექსური დავალებების ჩამონათვალის გაცნობის შემდეგ გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ბავშვების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებ.

საკითხი 3. სახელმძღვანელოების გადაცემა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება

მოისმინეს: დამრიგებელმა სახელმძღვანელოების დარიგების შემდეგ მშობლები გააფრთხილა, რომ მათ შვილებს ერგო ახალი წიგნები დროებით სარგებლობაში. ამიტომ კარგად უნდა მოუარონ, დაზიანების შემთხვევაში შეაკეთონ დაკარგვის შემთხვევაში შეიძინონ და სასწავლო წლის ბოლოს ისე ჩააბარონ ბიბლიოთეკას.

მასწავლებელმა მშობლებს სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით მიღება – ჩაბარების აქტიც გადასცა . მან ისაუბრა მხარეთა შორის უფლება – მოვალეობებზე, ასევე წიგნების მოვლისა და შეფასების წესებზეც.

აზრი გამოთქვეს: თ.ჩემიამ, მ.ბაკარანძემ. მათ აღნიშნეს, რომ მზად არიან სკოლიდან სახელმძღვანელოების მიღებასთან დაკავშირებით მიღება – ჩაბარების აქტის გასაფორმებლად. ასევე შვილებთან ერთად იზრუნებენ წიგნების მოვლა – პატრონობაზე.

კრების თავჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე --24

წინააღმდეგი--0

თავი შეიკავა: - 0

დაადგინეს: რჩევა მიეცეთ მე – 3-ა კლასის მოსწავლეთა მშობლებს:

- გააფორმონ მიღება-ჩაბარების აქტი სსიპ ჟიული შარტავას სახელობის ქ.სენაკის N-საჯარო სკოლასთან , მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების გადაცემასთან დაკავშირებით;
- მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმების ფაქტი დაადასტურონ ხელისმოწერით;
- შვილებთან ერთად იზრუნონ სახელმძღვანელოების მოვლა – პატრონობაზე.

საკითხი 4. მშობელთა კომიტეტის არჩევა

მოისმინეს: დამრიგებელმა აღნიშნა, რომ მშობლის როლი საკლასო და სასკოლო აქტივობების განხორციელებაში მნიშვნელოვანია. ამიტომ საჭიროა მშობელთა აქტივის არჩევა, რომელიც მასწავლებლის დამხმარე ძალა იქნება სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხებში.

აზრი გამოთქვეს: მშობლებმა დაასახელეს კანდიდატურა: თ.ლაკია.

კრების თავჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე --23

წინააღმდეგი--0

თავი შეიკავა: - 0

დაადგინეს: მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას- თ.ლაკია.

აქვე მოხდა მშობელთა საკონტაქტო მონაცემების დაზუსტებაც.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით კრება დახურულად გამოცხადდა.

კრების თავმჯდომარე: თ.ლაკია

მდივანი: თ.შენგელია.